

საქართველოს კანონი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დამატოს შემდეგი შინაარსის 171<sup>4</sup> მუხლი:

„მუხლი 171<sup>4</sup> „მაგნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის V<sup>1</sup> თავით დადგენილი წესების დარღვევა“

1. „მაგნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის V<sup>1</sup> თავით დადგენილი წესების დარღვევა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას 10000 ლარის ოდენობით.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 10000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში 20000 ლარის ოდენობით.

2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 208-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 208. რაიონის (ქალაქის) სასამართლოების განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები

რაიონის (ქალაქის) სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 42<sup>1</sup> და 42<sup>2</sup> მუხლებით 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 44-ე, 44<sup>3</sup>, 44<sup>5</sup>, 44<sup>6</sup>, 45-ე-56-ე, 57-ე-69-ე, 71-ე-78-ე, 79<sup>1</sup>-82<sup>1</sup>, 84-ე-86-ე, 88-ე-89<sup>3</sup>, 90-ე-91<sup>2</sup>, 94-ე-100<sup>2</sup>, 103-ე-105<sup>1</sup>, 105<sup>4</sup>, 128<sup>1</sup> 128<sup>2</sup>, 143-ე-144<sup>1</sup>, 144<sup>3</sup>-144<sup>5</sup>, 145-ე, 146<sup>1</sup>, 148-ე-152-ე, 152<sup>2</sup>-154<sup>2</sup>, 155<sup>1</sup>-156-ე, 157<sup>1</sup>-158<sup>1</sup>, 159-ე-159<sup>9</sup>, 163-ე, 164-ე, 164<sup>4</sup>, 165<sup>1</sup>-165<sup>3</sup>, 166-ე, 167-ე, 170-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 171<sup>1</sup>, 171<sup>4</sup>, 173<sup>4</sup>, 173<sup>10</sup>, 173<sup>11</sup>, 174<sup>1</sup>, 174<sup>5</sup>, 174<sup>8</sup>-174<sup>14</sup>, 177<sup>8</sup>-178-ე, 179<sup>1</sup>-183-ე, 187-ე-187<sup>2</sup>, 189-ე, 191-ე, (გარდა 191-ე მუხლის პირველი და 1<sup>1</sup> ნაწილებისა), 192-ე, 195-ე, 196<sup>2</sup>-196<sup>6</sup>, 197<sup>1</sup> მუხლებით.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

*მიხეილ სააკაშვილი*

25 დეკემბერი 2008 წელი